ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №310878

ნომერი: AR169413

თარიღი : 27.07.2012

გაცემის თარიღი : 16.08.2012

გაცნობის თარიღი : 17.08.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N 16 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ელინა გურიელი პ/ნ 01011005721
- თბილისი ს.ჭრელაშვილის ქ. N 3 ბ. 16-17

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 25 იანვრის №01/163 ბრძანებისა და№ნ/163–1 უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობის ძალადაკარგულად გამოცხადების

თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 27 ივლისს №AR169413 ელექტრონული განცხადებით მომართა მოქალაქე რადმილა იგნატიადუს წარმომადგენელმა ელინა გურიელმა და მოითხოვა თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 25 იანვრის №01/163 ბრძანებისა და №ნ/163–1 უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობის ძალადაკარგულად გამოცხადება.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2012 წლის 25 იანვრის №01/163 ბრძანებით განხილულ იქნა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი –მთაწმინდა), შოთა რუსთაველის გამზირი №16–ში (უძრავი ძეგლი) საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობაზე, მოქალაქე რადმილა იგნატიადუს კუთვნილ ფართში ვიტრინისა და სარეკლამო აბრის მოწყობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობა (№ნ/163–1) .

განმცხადებელმა მოითხოვა ზემოაღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტისა და ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობის ძალადაკარგულად გამოცხადება. დამკვეთის განცხადებით მის მიერ არ არის ნაწარმოები არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები,შესაბამისად აღარ გააჩნია აღნიშნული საპროექტო ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულიკოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველია ნებართვის მფლობელის მოთხოვნა, ხოლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ძალადაკარგულად გამოაცხადოს მის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ვინაიდან, დამკვეთს აღარ გააჩნია აღნიშნული საპროექტო ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ძალადაკარგულად გამოაცხადოს სამსახურის 2012 წლის 25 იანვრის №01/163 ბრძანება და უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობა (№ნ/163–1 25.01.2012 წ.).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მოქ. რადმილა იგნატიადუს წარმომადგენლის ელინა გურიელის 2012 წლის 27 ივლისის №AR169413 ელექტრონული განცხადების მოთხოვნა.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 25 იანვრის №01/163 ბრძანება და უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობა (№ნ/163–1 25.01.2012წ.) .
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესითგაცნობიდან ერთი თვის ვადაში.